

სელნაწერთა ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

II

მ ო ა მ ბ ე

II

შემდგენილია საქართველოში სწავლათა სელისუფლების
დაქვეყნების 40 წლისთავისადმი

ძველ ხელნაწერთა დაცვა და ტექსტების კუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში

(მოკლე მიმოხილვა)

განვლილი 40 წელი ქვეშარიტად დიადი ხანაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეს ეპოქა, რომელიც საბჭოთა წესწყობილების მეოხებით დადგა ჩვენში, თავისი ფესვებით დაკავშირებულია ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციასთან რუსეთში. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მოუპოვა რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემაჯავალ ხალხებს როგორც ეკონომიური, ისე სოციალ-პოლიტიკური თავისუფლება, ხოლო არა-რუს მოსახლეობას—ეროვნულიც ამათთან ერთად.

საბჭოთა წესწყობილების დაარსებამ ჩვენში ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური წყობა, რამაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ძვრები შეიტანა. ამ მხრივ სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან ერთად აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნის კულტურული მშენებლობაც. ისტორიულად დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქართველ ხალხს ყოველგვარი პირობები შეექმნა, შესწავლა წარსული მემკვიდრეობა, შეეფასებინა ის ლენინური სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე და გამოეყენებინა ყოველივე დადებითი, რაც ახალ სოციალისტურ კულტურას გამოადგებოდა.

ერის წარსულის შესწავლა, უკეთ გარკვევისათვის აწმყოში და მომავლის უმჯობესი გზით წარმართვისათვის, კულტურული შემოქმედების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად იქცა საბჭოთა წესწყობილების პირობებში. წარსულის შესწავლისათვის კი ერთი უმთავრესი პირობათაგანია მისი სულიერი და ნივთიერი კულტურის ძეგლების ადგილზე დაცვა თუ შემოკრებით შენახვა, მოვლა და პატრონობა.

ამ სრულიად სალი აზრით იმსჯელება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. მის უაქტიურეს წევრთა თაოსნობით დაიწყო ამა თუ იმ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებასთან ქართულ ხელნაწერთა შეგროვება. ქართული საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერითა და უანგარო მონაწილეობით მალე ისეთი კოლექციები დაგროვდა, რომ ხსენებულ საზოგადოებებთან ცალკე მუზეუმებიც კი შეიქმნა.

ყველაზე უწინარეს ქართულ ხელნაწერთა და საისტორიო დოკუმენტთა კოლექციების შეგროვება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დაიწყო. ამ საზოგადოების დამაარსებელნი და მესვეურნი, დიდი ქართველი მოღვაწეები დ. ყიფიანი და ი. ჭავჭავაძე იყვნენ ამ მხრითაც სხვებისათვის ნიმუშის მიმცემი. საინვენტარო ჩანაწერებში, რომლებსაც ჩვენამდის ეოლუწვია, არა ერთგზის იხსენებია დასახელებული პი-

რები როგორც შემომწირველნი ამა თუ იმ ხელნაწერისა და ხელნაწერთა კომპლექსისა.

ხსენებული საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციების შეგროვებისა და შესწავლისათვის თავდადებით ზრუნავდნენ ამ საქმის დიდი ენთუზიასტები აკად. ე. თაყაიშვილი და ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი, განსაკუთრებით პირველი, რომელსაც თავისი ამაგი ამ დარგში მეტად მოკრძალებულად აქვს მოთხრობილი იმ მოგონებებში, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე იბეჭდებოდა „მნათობის“ ფურცლებზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთსაცავი საბჭოთა წესწყობილების დაარსების დღიდან ჩვენში სახელმწიფო ბიუჯეტზე გადადის; ის დამოუკიდებლად იცავს, კრებს და სწავლობს დაგროვილ კოლექციებს 1926 წლამდის, რის შემდეგ ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავიდა და ცალკე ფონდად შევიდა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმში.

მეორე დაწესებულება, რომელიც გასულ საუკუნეში, სახელდობრ 1888 წ. ჩამოყალიბდა, აგრეთვე ქართველი ხალხის სულიერი და გარკვეული ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესაგროვებლად, დასაცავად და შესასწავლად იყო საეკლესიო მუზეუმი. იმ პირთაგან, ვინც აქ სამუზეუმო საქმეს ემსახურებოდა თავდადებით, აღსანიშნავი არიან დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიანი და მ. ჯანაშვილი. ესენი იყვნენ არა მარტო ექსპონატების შემკრებნი, არამედ მათი მომვლელ-დამცველნი და უმეტეს შემთხვევაში შემსწავლელნიც.

ეს სიძველეთსაცავი ერთ დროს (1921—1929 წწ.) შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს, რომლის კოლექცია ქართული ხელნაწერებისა № 1089 ხელნაწერიდან მის გაგრძელებას წარმოადგენდა. უნივერსიტეტის ეს ახალი კოლექცია ამჟამად აღწერილია და A (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა) კოლექციის აღწერილობის მე-4 და მე-5 ტომად არის გამოქვეყნებული.

1907 წლიდან ჩვენში შეიქმნა კიდევ ერთი სამეცნიერო საზოგადოება, — საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, — რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ხელნაწერი წიგნების, საისტორიო დოკუმენტებისა და ზეპირსიტყვაობითი მასალის შეგროვება. ამ საზოგადოების დამაარსებელი და მისი მუზეუმის მეცნიერი ხელმძღვანელი დღიდან მისი დაარსებისა 1921 წლამდის იყო აკად. ე. თაყაიშვილი. მისმა უშრეტმა ენერგიამ და ქართული სიძველეების უანგარო გულშემატკივრობამ საზოგადოებას, რომელიც სხვებთან მიმართებით ყველაზე ახალგაზრდა იყო, შეაძლებინა, შეეკრიბა სხვებზე არა ნაკლები ხელნაწერი კოლექციები.

საბჭოთა წესწყობილების დამყარების პირველი დღეებიდანვე სამეცნიერო მუშაობა, ისე როგორც ყოველგვარი სხვა საქმიანობა, ახალი გზით წარიმართა. ზემორე დასახელებული სიძველეთსაცავები, როგორც აღინიშნა, უმთავრესად თავს იყრიან თბილისის უნივერსიტეტთან, 1921 წელს მასთან დაარსებულ სიძველეთა მუზეუმთან, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე, მუშაობაში პარალელიზმის ასაცილებლად მიზანშეწონილად იქნა ცნობილი გვერდიგვერდ მდებარე ისეთი ერთნაირი მიზანდასახულობის დაწესებულებათაგან, როგორიც იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი (ფონდებით ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა, ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და თვით უნივერსიტეტისა) და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების

მუზეუმი, შედგენილიყო ერთი, რომელშიც შემავალ ერთეულთა მასალები ცალკე ფონდებად იქნებოდა წარმოდგენილი საკუთარი სააღრიცხვო სისტემის დაცვით. ამ ნიადაგზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან, რომელიც 1941 წლამდის განათლების კომისარიატის სისტემაში შედიოდა, შეიქმნა სპეციალური ხელნაწერთა განყოფილება (ზოგჯერ პალეოგრაფიულ განყოფილებადაც წოდებული), რომელშიც შევიდნენ:

1. ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექცია (სიმოკლისათვის S-ით აღნიშნული).
2. ამავე საზოგადოების საისტორიო დოკუმენტთა კოლექცია (სიმოკლისათვის Sd-თი აღნიშნული).
3. ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციასთან ერთად (სიმოკლისათვის A-თი აღნიშნული).
4. ამავე მუზეუმის (უკეთ — მუზეუმების) საისტორიო დოკუმენტები (სიმოკლისათვის Ad-თი აღნიშნული).
5. ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია (სიმოკლისათვის H-ით აღნიშნული) და
6. ამავე საზოგადოების მუზეუმის საისტორიო დოკუმენტთა კოლექცია (სიმოკლისათვის Hd-თი აღნიშნული).

ცალკე ხელნაწერთა განყოფილების ჩამოყალიბებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან შეიქმნა, ცხადია, ხელნაწერთა და საისტორიო დოკუმენტთა ახალი კოლექციებიც, პირველ რიგში ქართული ხელნაწერებისა (სიმოკლისათვის Q-თი აღნიშნული) და საისტორიო დოკუმენტებისა (სიმოკლისათვის Qd-თი აღნიშნული), რომლებიც თანდათანობით იზრდება ახალ-ახალი მასალით.

განყოფილებად არსებობის დროსვე გამოიყო ცალკე კოლექციებად ზოგიერთ აღმოსავლურსა და დასავლურ ენებზე დაცული ხელნაწერი წიგნები და საისტორიო დოკუმენტები, რომლებიც სხვა ძირითად კოლექციებში იყო შერეული. ამასთან ეს ნაწილი, განსაკუთრებით კოლექციები აღმოსავლურ ენებზე (არაბულს, სპარსულსა და თურქულზე), მნიშვნელოვნად შეივსო ახალ-ახალი შენაძენი მასალით — ხელნაწერი წიგნებიცა და საისტორიო დოკუმენტებით.

გამოიყო და სათანადო რიგით მოწესრიგდა ძირითად კოლექციებში შესული საარქივო მასალები, რომლებიც გასულისა და ჩვენი საუკუნის მწერლებისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს შეეხება.

განყოფილების ეს სტრუქტურა ხელუბლებელი რჩება მაშინაც, როცა ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად 1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა.

ხელნაწერთა შეკრებისა და მათი მოვლა-დაცვის საქმის მტკიცე საფუძველზე აგების ინტერესებით, ფონდების სრულ მეცნიერულ აღწერილობათა შესაღვენად და მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლებისა და წყაროების გამოქვეყნების მიზნით (რომელთანაც მჭიდროდ დაკავშირებულია აგრეთვე ძველი კულტურულ-სამწერლობო ცენტრების შესწავლა და პალეოგრაფიულ ძიებათა წარმოება) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1958 წლის 30 ივნისის სხდომის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე დაარსდა ხელნაწერთა ინსტიტუტი. ჩამოთვლილ

საქმიანობათა წარსამართავად ინსტიტუტში შეიქმნა ორი განყოფილება (1. ხელნაწერი წიგნების განყოფილება და 2. ისტორიული დოკუმენტებისა და არქივების განყოფილება), ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, ფოტოკაბინეტი და საამკინძველო სახელოსნო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1960 წლის 30 მარტის დადგენილებით ხელნაწერთა ინსტიტუტს გადმოეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტი, რომელიც მოწოდებულია დაიცვას, შეისწავლოს და მოამზადოს გამოსაქვეყნებლად მეცნიერული შემკვიდრება დიდი ქართველი მეცნიერისა.

ასეთია მოკლედ ხელნაწერთა შეკრებისა და მოვლა-პატრონობის ორგანიზაციული მხარე ჩვენში საბჭოთა წყობილების დროს. როგორც მიმოხილვიდან ჩანს, ეს საქმე საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდის დაწყებულა. წამოუწყია ის კერძო თაოსნობით XIX ს-ის ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წევრებს, რომელთაც შეძლებისდაგვარად კიდევაც დაუყენებიათ ის სათანადო სიმაღლეზე. საბჭოთა წესწყობილების დამყარების დღიდან ხელნაწერთა შეკრებისა და მოვლა-დაცვის საქმე კერძო ზრუნვის საგნად აღარ დარჩენილა, არამედ სახელმწიფოს მოსავლელი გამხდარა. მას კი ამისთვის გზადაგზა სათანადო ფორმებიც დაუძებნია, ისე რომ ამჟამად ცალკე სამეცნიერო ინსტიტუტი დაუარსებია.

რა გაკეთდა საბჭოთა წესწყობილების დროს ხელნაწერთა ფონდების შესწავლისა და გამოქვეყნების დარგში ინსტიტუტისა და მის წინამორბედ დაწესებულებათა მიერ? აი მორიგი კითხვა, რომელზედაც მოკლედ მაინც უნდა გავცეთ პასუხი.

დასახელებული ფონდების ხელნაწერთა შესწავლის მხრით ბევრი რამ გაკეთდა ჩვენში, რომ არაფერი ვთქვათ ცალკეული ხელნაწერების შესახებ, რომლებიც ან გამოცემულან, ანდა გამოცემისათვის გამოუყენებიათ სხვებთან ერთად და ამდენად საგანგებო შესწავლის საგნადაც ქცეულან, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გაწეული მუშაობა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ხაზით.

ამ საქმის უაღრესი მნიშვნელობა ყოველთვის კარგად ესმოდათ. სათანადო ნაბიჯებიც იყო ხოლმე დროზე გადადგმული. მოვიგონოთ ამ მხრივ საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის 3 ტომი: პირველი ორი თ. ჟორდანიასი¹ და მესამე—მ. ჯანაშვილისა², დ. კარიჭაშვილის მოკლე აღწერილობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთსაცავისა³ და ამავე საზოგადოების ხელნაწერთა ვრცელი მეცნიერული აღწერილობა აკად. ე. თაყაიშვილისა ორ ტომად⁴. ყველაფერი ეს საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდის გაკეთდა.

¹ Описание рукописей Тифлисского церковного Музея... составленное Ф. Д. Жордания, книги I и II, Тифлис, 1901—1902.

² М. Г. Джанашивили, Описание рукописей церковного музея... книга III, Тифлис, 1908.

³ კარიჭაშვილი დავით, კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა, თბილისი, 1904.

⁴ Е. Такайшвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. т. I—II, Тифлис, 1902—1906—1912.

საბჭოთა სინამდვილეში კი აღრეულ ეტაპზე უურადლება მიექცა იმას, რომ საძიებელი შედგენილიყო აკად. ე. თაყაიშვილის ხსენებული აღწერილობის ორი ტომისათვის, რაც პროფ. ა. შანიძემ და პროფ. ა. ბარამიძემ განახორციელეს¹, და მერმე განგრძობილიყო ყოფ. საეკლესიო მუზეუმის აუწერელი ფონდის აღწერა, ისე როგორც მის მსგავსად დამზადებულიყო წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. ერთიცა და მეორეც სისრულეში მოიყვანა მ. ჯანაშვილმა, რომლის ნაშრომები დაცულია ხელნაწერად ხელნაწერ წიგნთა ახალ კოლექციაში (Q-ში)². საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერებისათვის კი შინაგან სახმარებელი კატალოგი იყო შედგენილი ბარათებზე ს. გორგაძის მიერ.

სამეცნიერო მუშაობის გაზრდილ მოთხოვნილებას საერთოდ ჰუმანიტარულ დარგში და კერძოდ ქართველოლოგიაში გარკვეულ ეტაპზე დასახელებული კატალოგები ვეღარ აკმაყოფილებენ, რის გამო დადგა საკითხი, შედგენილიყო უფრო ვრცელი აღწერილობები, რომლებშიც, გარეგნულ ნიშნებთან ერთად, უკლებლივ, მთელი სისრულით. იქნებოდა გადნოცემული ხელნაწერის შედგენილობა შინაარსის მხრით, რაც ზედმიწევნით არ იყო ხოლმე დაცული წინანდელ აღწერილობებში. ეს საქმე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასთან წამოიწყო 1939 წელს. სახელმძღვანელო პრინციპები აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამუშავა. ძირითადად ამ ინსტრუქციის მიხედვით (რომელმაც მცირეოდენი ცვლილება განიცადა ზოგიერთი დამატების სახით) შედგა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერების (H კოლექციის) პირველი ტომი. რომელიც მიედგენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავს. ის 1946 წ. გამოვიდა³. მას მალე მოჰყვა სხვებიც და მთლიანად II კოლექციის აღწერილობათა გამოცემა 1953 წ. მოთავდა⁴.

¹ ა. შანიძე და ა. ბარამიძე, საქართველოს S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II. თბილისი, 1939.

² მ. ჯანაშვილი, აღწერილობა S ფონდის ხელნაწერთა: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტომი II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ბრეგვაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958, № 578 (სამ წიგნად); A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, იქვე, № 579.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, ტომი I. დასაბუქდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1946.

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1951.

ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი III. შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ქ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ე. მეტრეველისა და ე. ვირსალაძის მიერ, თბილისი, 1950.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის შემდეგ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი განგრძობილიყო აღწერა ახალ რიგზე ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებისა. პირველი სამი ტომი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. ჟორდანიასა და მ. ჯანაშვილს ჰქონდათ შედგენილი და გამოქვეყნებული. დასახელებული კოლექციის აღწერილობის გაგრძელება ორ ტომად გამოვიდა 1954—1955 წწ¹.

ამ კოლექციის აღწერილობას მოჰყვა ახალი ფონდის, ე. წ. Q კოლექციის აღწერილობის ორი ტომი, რომლებიც 1957—1958 წწ-ში გამოქვეყნდა². ჯერი მიდგა ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციის ხელნაწერების აღწერაზე. ამ კოლექციის აღწერილობის I ტომი 1960 წელს გამოიცა³.

ამრიგად 1946 წლიდან დღემდის გამოცემულია ხელნაწერთა ინსტიტუტში შემავალი ზემოთ დასახელებული ფონდების ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის 11 ტომი, რომელთა მოცულობა 450-ოდე ბეჭდვითი ფურცელია.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეძლო გამოექვეყნებინა აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის აღწერილობა, რომელიც დასაბუქდად მოამზადა მუზეუმთან არსებულმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა⁴. გამოქვეყნდა აგრეთვე ნ. მარის აღწერილობა იერუსალიმის ქართული ხელნაწერებისა⁵.

ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი V, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლ. მეფარიშვილისა და ე. ვირსალაძის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1949.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი VI, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი 1953.

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კვკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1954.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), აღ. ბარამიძის რედაქციით, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბილისი, 1955.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტომი I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტომი II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958.

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1960.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. დასაბუქდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა, თბ., 1947.

⁵ ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბუქდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955.

ასეთია ზოგადად ის, რაც საბჭოთა წესწყობილების 40 წლის განმავლობაში გაკეთდა გარკვეულ უბანზე ქართულ ხელნაწერთა ფონდების შესწავლის დარგში.

დასახელებული ფონდების შესწავლის პარალელურად ზრუნვა არ შენელებულა არც ამ ფონდების მნიშვნელოვან ძეგლთა გამოსაცემად. ამ დიდ საქმეში ჩაბმული იყვნენ თვით ინსტიტუტისა და მის წინამორბედ დაწესებულებათა მეცნიერ თანამშრომლებს გარდა სხვანიც.

მეცნიერების თითქმის ყოველი დარგი, განსაკუთრებით კი ქართველოლოგია, ცხოველ მონაწილეობას იღებს მისთვის საგულისხმო წყაროს შესწავლასა და გამოქვეყნებაში. წინა რიგებში საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ენის მკვლევარები ჩანან. ისინი ნაყოფიერ კვლევა-ძიებასთან ერთად მნიშვნელოვან ძეგლთა გამოქვეყნებაზედაც ზრუნავენ.

საქართველოს საისტორიო წყაროები, რომლებიც 1921 წლიდან დღემდის გამოიცა, ეკუთვნიან უმთავრესად ადრინდელს, განვითარებულსა და გვიანფეოდალურ ხანას. დასახელებულ წყაროთაგან გამოქვეყნებულია შემდეგი უმთავრესი ძეგლები:

შუშანიკის მარტილობა იაკობ ცურტაველისა¹; ეგსტათე მცხეთელის მარტილობა²; მარტილობა აბოსი იოანე საბანისძისა³; ასურელი მოღვაწეების ცხოვრებათა წიგნები⁴; სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ბასილი ზარზმელისა⁵; ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი გიორგი მთაწმიდელისა⁶; ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ქრონიკა სუმბატ დავითისძისა⁷; ეფრემ მცირის უწყება ქართველთა მოქცევისა...⁸; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ანონიმი ისტორიკოსი თამარ მეფისა)⁹; ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი ბასილი ეზოს

¹ იაკობ ცურტაველი, მარტილობა შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ. 1938.

² ეგსტათე მცხეთელის ცხოვრება; საისტორიო კრებული, წიგნი III, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 80—94, თბ., 1928წ.; მარტილობა და მოთმინება წმ. ეგსტათე მცხეთელისა, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I (V—X საუკუნეების ძეგლები) გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 161—167.

³ იოანე საბანისძე, მარტილობა აბოტთილელისა: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, პროფ. კონ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, ტფ. 1935, გვ. 7—96.

⁴ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ: ძველი ქართული ენის კათედრის წიგნები, I. თბილისი, 1955.

⁵ ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, პროფ. კონ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, ტფ., 1935, გვ. 99—184.

⁶ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯაფარიშვილმა: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, თბილისი, 1946, გვ. 1—63.

⁷ სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, ტექსტი გამოსცა ვრცელი შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნამდვილმა წევრმა ე. თაყაიშვილმა: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, თბილისი, 1949.

⁸ ეფრემ მცირე, უწყება მიხვსა ქართველთა მოქცევისას, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკვანებინა, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959.

⁹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა) აკად. კონ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941.

მოძღვრისა¹; ლაშა გიორგის დროინდელი მემატინის თხზულება²: ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში აბუსეროძე-ტბელისა³; ქართლის ცხოვრების ანასეული ნუსხა⁴; ეგნატაშვილი ბერის ახალი ქართლის ცხოვრება⁵; ქართლის ცხოვრება (I და II წიგნი შეჯერებული ყველა ნუსხით⁶), ფარსადან გორგიჯანიძის საქართველოს ისტორია⁷; ვახუშტის გეოგრაფია⁸ და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამოთვლილ საისტორიო წყაროთაგან ზოგიერთი ითარგმნა და გამოცა რუსულ ენაზე. ასეთებია:

შუშანიკის მარტივობა იაკობ ცურტაველისა⁹; აბოს მარტივობა იოანე საბანისძისა¹⁰; სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ბასილი ზარზმელისა¹¹; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (თამარ მეფის ანონიმი ისტორიკოსის თხზულება)¹²; ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი ბასილი ეზოს მოძღვრისა¹³ და სხ...

საისტორიო წყაროებზე საუბრისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქართული სამართლის ძეგლებიც, როგორც მაგ.: ბექასა და აღბუღას სამართალი¹⁴; ვაჰანის ქვაბთა განგება¹⁵; გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დება¹⁶; ვახტანგ VI

¹ ბასილი ეზოს მოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოსცა ივ. ჯაფარიძე ი შვილიძისა. მასალა დასაბუღად. დ. დაწინააღმდეგ ნათელა ჯაფარიძე ი შვილიძისა და მ. კახაბაძემ, თბილისი, 1944.

² ლაშა გიორგის დროინდელი მემატინე, გამოსცა ივანე ჯაფარიძე ი შვილიძისა, ტფ., 1927.

³ აბუსეროძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსეროძეთა საგვარეულო მატინე, ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილიძისა, თბ., 1941.

⁴ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბუღდად მოაწვდა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.

⁵ ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დანდ.. I: ტექსტი ივ. ჯაფარიძე ი შვილიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1940.

⁶ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის ძიერ. ტომი I, თბილისი 1955; ტომი II, თბილისი. 1959.

⁷ ს. კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია: საისტორიო მონაბე, 1925, № 2, გვ. 198—328.

⁸ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941.

⁹ Яков Цуртавели. Мученичество Шушаники (V в.); Памятники древне-грузинской агнографической литературы. Грузинский текст перевел, исследовавшем и примечаниями снабдил академик АН Грузинской ССР, проф. К. С. Кекелидзе Тбилиси, 1956, стр. 7—28.

¹⁰ Иоанн Сабанисдзе. Мученичество Або Тбилиели (VIII в.). იქვე, გვ. 31—60.

¹¹ Василий Зарзмили. Жизнь Серапиона Зарзмели (X в.), იქვე, გვ. 63—101.

¹² История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, исследованием и комментариями снабдил К. С. Кекелидзе, Тб., 1954.

¹³ В. Д. Дондуа. Басили, историк царицы Тамары: Памятники эпохи Руставели. редактор акад. И. Орбели. Ленинград. 1938, გვ. 33—76.

¹⁴ ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი (სამართლის ძეგლები—ტექსტები: ბექას მანდატურთუხუცესის სამართალი 285—316 გვ.; აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი 316—334 გვ.; ბაგრატ კურაპალატის სამართალი 335—346 გვ.). თბილისი, 1953.

¹⁵ ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.). გამოსცა ლ. მუსხელიშვილიძისა, თბ., 1939.

¹⁶ ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

სამართლის წიგნი¹; სამართალი სომხური²; იოანე ბატონიშვილის სჯულდება³; დავით ბაგრატიონის *Обозрение Грузии по части прав и законовещения*⁴.

ქართულ ენაზე დაცულ ხსენებულ წყაროთა გვერდით აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებულ იქნა სხვა ენებზე დაცული ხელნაწერი ძეგლებიც. მათგან აღსანიშნავია აკად. გ. წერეთლის, პროფ. ს. ჯიქიასა და პროფ. ილია აბულაძის გამოცემები. პირველს ეკუთვნის შამილის წერილების გამოქვეყნება⁵, მეორეს—XVI ს-ის დემოგრაფიული ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის («გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის») გამოცემა (3 წიგნად)⁶, ხოლო მესამეს—«ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის» პუბლიკაცია⁷.

ნარატიულ საისტორიო წყაროთა გამოცემასთან ერთად ყურადღება ექცეოდა საისტორიო დოკუმენტების შესწავლასა და გამოქვეყნებას. ამ მხრით აღსანიშნავია დარგობლივი წესით აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ 5 წიგნად გამოცემული ეს დოკუმენტები. ორი ამ წიგნთაგან საქართველოს სოციალური ისტორიის მასალებს შეიცავს⁸, ხოლო სხვა სამი—საქართველოს ეკონომიური ისტორიისას⁹. დარგობლივი წესით გამოაქვეყნეს საისტორიო დოკუმენტები სხვებმაც. ასეთებია: მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო

¹ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გამოც. თ. ენუქიძისა, თბ., 1955.

² სამართალი სომხური, ქართული ევრსია, შესრულებული ვახტანგ VI ბრძანებით, გამოსცა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, თბ., 1927.

³ იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაკვებლად მოამზადა, შესავალი. ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957.

⁴ დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა (*Обозрение Грузии по части прав и законовещения, творение царевича Давида*), აბულონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959.

⁵ Г. В. Церетели. Письмо Шамиля из Калуги; ЗИВ, т. II, стр. 95—112; *Вновь найденные письма Шамиля: Труды I сессии ассоциации арабистов*, 1939, стр.

⁶ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წიგნი I, ტექსტი, თბილისი, 1947.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, წიგნი II, თბ., 1941.

ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა: 1. ხელნაწერის აღწერილობა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, თბილისი, 1958.

⁷ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953.

⁸ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953.

⁹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიანფეოდალური ხანა, წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიანფეოდალური ხანა, წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955.

წყობის ისტორიისათვის¹, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები²: ორგანოები ქართულ-სპარსული საბუთები³ და სხვ...

ბოლო ხანს დოკუმენტების კუთხობრივ-ქრონოლოგიური წესით გამოცემა წამოიწყო ჩვენში. 1959 წელს გამოიცა ერთი ამნაირი წიგნი: „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“⁴.

არა ერთი და ორი ძეგლია გამოქვეყნებული ძველი ქართული ლიტერატურიდან, იქნება ეს საეკლესიო, თუ საერო ხასიათისა. პირველ რიგში აღსანიშნავია ჩვენი საერო მწერლობის სიამაყის, გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. 1937 წლამდის ამ ძეგლის უკვე 30-ოდე გამოცემა არსებობდა. ამ წლისათვის საიუბილეო გამოცემა განხორციელდა. მის დასამზადებლად სპეციალისტთა კოლექტივი მუშაობდა აკად. კ. კეკელიძისა და აკად. ა. შანიძის მეთაურობით. მოხერხდა მხოლოდ დადგენილი ტექსტის გამოცემა⁵, ვარიანტები და სხვა საჭირო მასალები არ გამოქვეყნებულა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ⁶.

რუსთაველის ხანის ლიტერატურულ ძეგლთაგან გამოქვეყნდა აგრეთვე: „ამირან-დარეჯანიანი“⁷, „ვისრამიანი“⁸, „აბდულ-მესიანი“⁹ და „თამარიანი“¹⁰.

შედარებით უხვად არის გამოცემული ე. წ. აღორძინების ხანის ლიტერატურული ძეგლები, უმთავრესი მათგანი შემდეგია: ფირდოუსის „შაჰნამე“ ქართული ვერსია (II ტომი)¹¹, თეიმურაზ I პოეზია¹², „იოსებ-ზილიხანიანი“

¹ შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამხელეთ წყობის ისტორიისათვის: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 26, 1948.

² იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784—1810): საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, III—ისტორიული დოკუმენტები, წიგნი I. ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1953.

³ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიაძემ, თბილისი, 1955.

⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.

⁵ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937 (მომდევნო წლების გამოცემანი ყველა მანხვა დამოკიდებული. გამოიცა რამდენიმე რუსული თარგმანი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია უშუალოდ ქართულიდან შესრულებული შ. ნუცუბიძის: Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, поэма в стихах, перевод с грузинского Ш. Нудубидзе, редакция С. Горюновского, Москва, 1941.

⁶ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფილისი, 1937.

⁷ ამირან-დარეჯანიანი მოუხონელისა სარგის კაკაბაძის რედაქციით, თბ., 1939.

⁸ ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი იუსტ. აბულაძისა, ტფილისი, 1938.

⁹ შაე თქელ, აბდულ-მესიანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, ტფ. 1937.

¹⁰ თამარიანი ჩახრუხაძისა, ს. კაკაბაძის რედაქციით, თბ., 1937; ქართველი მეზობლები, I. ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, ტექსტი გამოსცა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლორთქიფანიძემ, თბ., 1957.

¹¹ აბულყასიმ ფირდოუსის ტუსელის, შაჰნამე, ქართული ვერსიები. ტ. II, პროფ. იუსტ. აბულაძის, დოც. აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, პროფ. კ. კეკელიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1934.

¹² თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოკვლევა, ლექსიკონი, აღ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934.

ანონიმისა და თეიმურაზის რედაქციები¹, „ომანიანი“², ნ. ციციშვილის „შეიდი მთიები“³, „რუსულანიანი“⁴, „არჩილიანი“⁵, „დიდმოურავიანი“⁶, გალექსილი „ამირან-დარეჯანიანი“⁷, ვახტანგ VI-ის ლირიკა⁸, „ქილილა და დამანა“⁹, საბას „სიბრძნე სიცრუისა“¹⁰, თეიმურაზ II-ის ნაწერები¹¹, „შაჰ-ნავაზიანი“¹², „დავითიანი“¹³, ბესიკის თხზულებანი¹⁴, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“¹⁵ და სხვ...

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ტექსტების გამოცემის მხრით ქართული სასულიერო მწერლობის დარგშიც. პირველ რიგში აღსანიშნავია აგიოგრაფიული ლიტერატურის, ხსენებული მწერლობის ამ belles-lettres-ის ძეგლები: აგიოგრაფიული ნაწარმოებთა კრებული „კიმენი“, II ტომი¹⁶, სადაც შესულია უცხო წარმოშობის ნაწარმოებები, უმეტესად ჩვენი აღრინდელი ხანის მწერლობისა (მათ შორის არა ერთია ისეთი, რომლის დედანი ჯერ არსად იპოვება); „ტიმოთე ანტიოქიელის ცხოვრება“¹⁷, რომელიც არაბული-

¹ იოსებ-ზილიზანიანის ქართული ვერსიები, ნაწ. I, გამოსცა გ. ჯაკობიანი, ტფ., 1927.

² ქაიხოსრო, ომანიანი, ვეფხისტყაოსნის გაგრძელება, რომანი მე-17 საუკუნისა, გ. ჯაკობიანის რედაქციით, თბ., 1937.

³ ნ. ციციშვილი, შეიდი მთიები, თბ., 1934.

⁴ რუსულანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

⁵ არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით: არჩილიანი, პირველი ტომი, თბ., 1936.

არჩილიანი, ტ. II გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თბ., 1937.

⁶ იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939.

⁷ სულხან თანიაშვილი, ამირან-დარეჯანიანი, გ. ჯაკობიანის რედაქციით, წინასიტყვაობით. ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1941.

⁸ ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947 (ლექსიკონი ილია აბულაძისა).

⁹ ქილილა და დამანა, ივანე-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1949.

¹⁰ სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1938; სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად დაამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.

¹¹ თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიანის წინასიტყვაობით, რედაქციით. ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939.

¹² ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გიორგი ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935.

¹³ დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი. გამოკვლევა. ლექსიკონი აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931.

დავით გურამიშვილი, დავითიანი, აღ. ბარამიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1948.

დავით გურამიშვილი, დავითიანი (საიუბილეო გამოცემა), თბ., 1955.

¹⁴ ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი. გამოკვლევა აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით, ტფ., 1932.

¹⁵ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948.

¹⁶ ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწ. I, კიმენი, ტ. II. გამოსცა კორნ. კეკელიძემ, თბ., 1946.

¹⁷ ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით: ენიშვის მოამბე, ტ. VII, 1940.

დან ყოფილა თარგმნილი ბერძნულად, საიდანაც მომდინარეობს ქართული (შესაბამისი ტექსტი არც არაბულსა და არც ბერძნულში ჯერჯერობით არ იძებნება); აპოკრიფები მოციქულთა შესახებ¹: სომხური აგიოგრაფიული მწერლობის ერთი წყება ძეგლების თარგმანი², „ბალავარიანი“³ და იოანე მოსხის „ლიმონარი“⁴, რომლებიც IX—X სს-ის თარგმანებია, გადმოღებული, ენობრივი ნიშნების მიხედვით, არაბულიდან.

აგიოგრაფიული ძეგლების გვერდით სასულიერო მწერლობის ზოგიერთი სხვა დარგის ნაშრომებიც გამოიცა.

ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო დარგიდან გამოქვეყნდა იოანე პეტრიწის თარგმანი პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებისანი“ მთარგმნელის კომენტარებითურთ⁵.

ეგზეგეტიკური მწერლობის დარგიდან გამოიცა გიორგი მთაწმიდლის თარგმანი ბასილი დიდის „ექვსთა დღეთათვის“⁶.

ძველი ქართული მწერლობის გამოცემულ ორიგინალურ ნაწარმოებთან აღსანიშნავია აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლეა“⁷ და სხვ...

აღრინდელი ქართული მწერლობის გამოცემულ ძეგლთა მიმოიხილვისას საგანგებო აღნიშვნის ღირსია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა სერია: „ძველი ქართული ენის ძეგლები“, რომელიც აკად. ა. შანიძის რედაქციით გამოდის. ამ სერიით II წიგნია გამოქვეყნებული. ამათგან 10 წიგნი მნიშვნელოვან ძეგლთა ტექსტებს შეიცავს⁸, ხოლო ერთი — ჩვენი მწერლობის უძველესი ძეგლის, „ოთხთავის“, სიმფონია-ლექსიკონს.

¹ ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახ... გამოსცა ც. ქუ რ ც ი კ ი დ ე მ. თბ., 1959.

² ილია აბუღაძე, ქართული და სომხ. ლიტერ. ურთიერთობა XI—X სს.-ში, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1944.

³ ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბუღაძემ. ა. შანიძის რედაქციით: ძველი ქართული ენის ძეგლები. 10. თბ. 1957.

⁴ იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევიითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბუღაძემ, თბ., 1960.

⁵ იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I. პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, შესავალი სტატია—მთხე გოგობერიძისა, თბ., 1940.

იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II. განმარტებამ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნ უ ტ უ ბ ი ძ ე მ და ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1937 (ითარგმნა რუსულადაც: Иоанн Петрици, Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадох, перевод с грузинского и исследование И. Д. Папичавы, Тб., 1942).

⁶ ბასილი დიდი. ექვსთა დღეთა, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. კ ა ხ ა ძ ე მ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1946, ნაკვეთი II, თბ., 1947.

⁷ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლეა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა. ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.

⁸ ა. ხანშეთი ლექციონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944.

ბ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (B97, 936 და 973 წწ.). გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

გ. გიორგი მთაწმიდელი, ცხორებამ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დამზადა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა,—გ. მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთჳიმეს ცხოვრების“ მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946.

დ. წიგნნი ძუელიასა აღთქმისანი (973 წ. ხელნაწერის მიხედვით), ტ. I. ნაკვეთი 1: დაბადებისა, გამოსლუათამ, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1947.

ე. ნაკვეთი 2: ლევიტელთამ, მსაჯულთამ, იობისი, ესაიასი, თბ., 1948.

ძველი ქართული ენის ტექსტების გამოცემაზე ზრუნავს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა, რომელმაც თავისი „შრომების“ ხაზით გამოაქვეყნა რამდენიმე ძველი, ამთავან უალრესი მნიშვნელობისაა აკაკი შანიძის რედაქციით გამოსული ქართული მწერლობის უძველესი თარიღიანი ძეგლი—სინური მრავალთავი 864 წლისა¹.

ცალკეა აღსანიშნავი სამედიცინო ლიტერატურის გამოცემული მნიშვნელოვანი ძეგლებიც: „წიგნი სააქიმოჲ“, ხოჯა ყოფილის თარგმანი XIII ს-ის დამდეგისა², „უსწორო კარაბადინი“³, „იდიგარ დაუდი“⁴ და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“⁵.

ასეთია მოკლედ ის, რაც გაკეთდა ძველი ქართული მწერლობის ხელნაწერ ფონდების მნიშვნელოვან ძეგლთა გამოცემის მხრით საბჭოთა წყობილების დროს (1921 წლიდან დღემდის).

წინ კიდევ გასაკეთებელი ძლიერ ბევრი გვაქვს. საპერსპექტივო გეგმა ხელნაწერთა ინსტიტუტსაც ენებოვება. მიმდინარე შეიღწეულდისათვის გარკვეული სამუშაოებია დაგეგმილი ხელნაწერთა ფონდების მეცნიერულად მოვლისა და დაცვის, შეკრებისა და შესწავლა-გამოქვეყნებისათვის.

მოვლისა და დაცვის საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის უმთავრესი პირობაა, არსებობდეს შესაფერი სადგომი, სიძველეთსაცავე, რომელიც სათანადოდ იქნება მოწყობილი ხელნაწერი ფონდების შესანახავად. ასეთი სპეციალური ნაგებობის საქიროება აღიარებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებისათვის, რისთვისაც მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის მიერ, აიგოს უახლეს 2—3 წელიწადში ინსტიტუტის შენობა და საგანგებო ხელნაწერთსაცავე. წინასწარი სამუშაოები ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად უკვე ჩატარდა, მოკლე ხანში ჩაყრება საფუძველი კიდევ ერთს დიდი მნიშვნელობის საქმეს.

ხელნაწერთა შეკრებისათვის მიჩნეულია, ეწყობოდეს ყოველწლიურად ექსპედიციები, ჯერ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხელნაწერების გამო-

გ. საქმე მოიკუთლთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, 1950.

ხ. მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, 1955.

მ. კათოლიკე ეპოსტოლეთა ქართული ვერსიები, X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ, 1956.

თ. ბალაფარიანის ქართული რედაქციები, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, 1957.

ი. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. I. ტექსტი გამოსცა მზექალა შანიძემ, 1960.

¹ სინური მრავალთავი 864 წლისა სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.

² „წიგნი სააქიმოჲ“. ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე, თბ., 1936.

³ ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940.

⁴ იდიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XVI საუკუნე, თბ., 1938.

⁵ ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), მ. სააკაშვილის რედაქციით, 1950; ზაზა ფანასკერტელი—ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ, თბ., 1959.

საელინებლად და შესაძენად და, შემდეგ, მის გარეთაც,—სხვაგან დაცული ხელნაწერების ფოტოპირების გადასაღებად მიკროფილმების სახით.

გადაწყვეტილია დამზადდეს თანდათანობით მიკროფილმები და ფოტოპირები ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდებისა, რათა დაინტერესებულ პირთ უმთავრესად ესენი ეძლეოდეთ ხელთ სამუშაოდ. ასეთი ღონისძიება მიზანშეწონილად არის მიჩნეული იმის გამო, რომ დაცულ იქნეს ორიგინალი ზედმეტი ხმარებისაგან.

შელახულ ხელნაწერთა ჯგოფიანი დაცვისათვის საჭიროა დაზიანებული (ეტრატისა და ქალაღდის) ფურცელთა და ყდათა რესტავრაცია, აკინძვა და დაკაზმა. ყველა ეს აუცილებელი მომენტი მეცნიერულ საფუძველზე უნდა იქნეს აგებული. მათ სათანადო დარგის სპეციალისტები უნდა ხელმძღვანელობდნენ შესაფერისად აღჭურვილი ლაბორატორია-სახელოსნოებით. ეს საქმე დღესაც წარმოებს ინსტიტუტში. იგი უფრო გაცხოველდება შემდეგში, როცა ინსტიტუტს საკუთარი შენობა ექნება.

ინსტიტუტის ამოცანას, ხელნაწერი ფონდების მოვლა-დაცვასა და შეკრებასთან ერთად, როგორც ითქვა, შესწავლა და გამოქვეყნება წარმოადგენს. ამ მხრითაც ინსტიტუტს გარკვეული სამუშაოები აქვს გათვალისწინებული საკუთარი საპერსპექტივო გეგმით.

ხელნაწერთა ფონდების შესასწავლად გაგრძელება 1946 წლიდან დაწყებული აღწერილობის შედგენა და გამოქვეყნება. იგი მიმდინარე შეიღწეულში უნდა მოთავდეს. მართალია ეს აღწერილობა ძირითადად შინაარსის განხილვას ემსახურება, მაგრამ ამასთან ერთად არაა უგულებელყოფილი ასევე მხარეებიც, ჯერ ერთი, ხელნაწერის ტექნიკური აღწერილობა და, მერმე, გადამწერთა ანდერძები და ისტორიული ხასიათის მინაწერები (შერჩევით), რომლებიც ნუსხებს დაუცავთ. ამათ გამოქვეყნებას, უეჭველია, უაღრესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის შედგენასთან ერთად გეგმის თანახმად უნდა გაცხოველდეს მუშაობა არაქართული ხელნაწერების აღწერილობათა შესადგენად, როგორც ცნობილია ინსტიტუტის ფონდებში ქართულ ხელნაწერთა გარდა დაცულია ხელნაწერები სხვა ენებზედაც, როგორც მაგალითად: არაბულს, სპარსულს, თურქულს, აზერბაიჯანულს, სომხურს, ბერძნულს, რუსულს, გერმანულსა და ებრაულ ენებზე. დაწყებულია ამათი აღწერილობის შედგენა. საჭიროების კარნახით ამჟამად უფრო ინტენსიურად წარმოებს არაბული, სპარსული, თურქული და აზერბაიჯანული ხელნაწერების აღწერა. დამთავრებულია სომხური ხელნაწერების აღწერილობის შედგენა.

დაუცხრომლად უნდა წარიმართოს XIX—XX სს-ის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და კლასიკოსთა არქივების აღწერა და მნიშვნელოვანი ხარკივო დოკუმენტების პუბლიკაცია. ამათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

ქართული ისტორიული დოკუმენტების მდიდარი ფონდების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით უნდა დაჩქარდეს ბოლო ხანს წამოწყებული საძიებლების შედგენა. ეს საძიებლები, უპირველეს ყოვლისა წარმოგვიდგენენ დოკუმენტების შინაარსს, მათ რაობას, და, მერმე, მათში მოხსენებული პირებისა და ადგილების სახელწოდებათა კრებულს. ამთავით მათ ვუდგენთ ინსტიტუტის ფონდებს, მაგრამ აზრად გვაქვს შემდეგში აღწეროთ ამ მიმართულებით სხვა უწყებათა ფონდებიც, რაც მოგვცემს საშუალებას, ხელი მივყოთ სრული ქართული ონომასტიკონისა და ტოპონიმიკის დამუშავებას.

ინსტიტუტის ამოცანები ტექსტების პუბლიკაციის დარგში შეპირობებულ-
ლია იმ საგანგებო გარემოებით, რომელიც ახასიათებს წარსული მემკვიდრე-
ობის შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეს ჩვენში. საქმე ისაა, რომ ძველი
ქართული მწერლობის კრიტიკულ შესწავლასა და გამოცემას არა აქვს დიდი
ხნის ისტორია. იგი პეტერბურგს წამოიწყო. ამ საქმეში წინა პლანზე პეტერ-
ბურგელ მცენიერთა მცირერიცხოვანი კოლექტივი იდგა. აკად. ნ. მარის ხელ-
მძღვანელობით იქ მალე ქართული ტექსტების ისეთი სერია შეიქმნა, როგორც
იყო: „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, რომელიც
მისაბამ ნიმუშად იქცა მრავალთათვის, მაგრამ მრავალფეროვანი
ქართული ლიტერატურის გამოსავლენებლად პეტერბურგის გამოცენები საკმა-
რისი აო აღმოჩნდა. ბევრს ამ მხრით არც ის გამოცემები ქმნიდა, რომლე-
ბიც თბილისს გამოდიოდა, რადგან ამას ხელს უშლიდა არა მარტო მცენი-
ერთა სათანადო კადრის უყოლობა, არამედ მატერიალური სახსრების უქონ-
ლობაც. მცირე, მეტად განსაზღვრული ოდენობისა იყო ძველი ქართული
მწერლობის გამოქვეყნებელი ძეგლების რიცხვი საბჭოთა წყობილების დამუყ-
არებამდე ჩვენში. საბჭოთა სინამდვილეში შესამჩნევად გაფართოვდა ქართული
მწერლობის წარსული მემკვიდრეობის შესწავლის ფარგლები და გამრავლდა
მისი ძეგლების გამოცემა. მიუხედავად ამისა საიმედო, კრიტიკულად დადგე-
ნილი ტექსტები, მცირე გამონაკლისის გარეშე, მაინც ვერ გამოდის სათა-
ნადო სისრულით. ამითაა გამოწვეული ის, რომ ამ დარგში მოგვეპოვება ჩა-
მორჩენა, რაც ზოგჯერ გვაიძულებს შევჩერდეთ ისეთი ძეგლების გამოცემაზე,
როგორც არიან ადრეული ქართული სასულიერო მწერლობის ნაწარმოებნი,
რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ფიქრიც კი ძველი ქართული ენის რაიმე
ლექსიკონსა ან ენის ისტორიაზე, რაც ესოდენ საჭიროა დღეს.

ქართული მწერლობის ძველი ძეგლების გამოცემა უმთავრესად შერჩე-
ული ნუსხების მიხედვით წარმოებს. ყველა ნუსხის მიხედვით მათი გამოცემა
დღემდის რამდენადმე შეუძლებელიც იყო, რადგან როგორც გარეთ, ისე
ქვეყნის შიგნით, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებშიც კი, არ იყო შეკრებილი
ქართული ხელნაწერები. ეხლა კი, როცა ქართული ხელნაწერების ძირითადი
ფონდები თავმოყრილია ხელნაწერთა ინსტიტუტის კედლებში და ჩვენ აყ-
თუ ისე, მოგვეპოვება საზღვარგარეთული ქართული ხელნაწერების უმთავ-
რესი კოლექციების მიკროფილმები (მხედველობაში გვაქვს სინასა და იერუ-
სალიმის კოლექციები) და მასთან შესაძლებლობა გვაქვს თვით გადავიღოთ
სხვა კოლექციების ნუსხათა პირები. განართლებულად ვერ ჩაითვლება ტექს-
ტების გამოცემა შერჩეული ნუსხების მიხედვით. თუ უწინ ძეგლის გამოცემას
ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით ხელს უშლიდა მეცნიერული კადრე-
ბის უყოლობა, დღეს როცა უკვე შექმნილია სპეციალური ინსტიტუტი ძველ
ხელნაწერთა შეკრებისა, მოვლა-დაცვისა და შესწავლა-გამოქვეყნებისათვის,
მიუტევებელი იქნებოდა ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას შემოვფარგლული-
ყავით შერჩეული ნუსხებით. ამის გამოა, რომ მიზნად დავისახეთ ქართული
მწერლობის ძველი ძეგლების გამოცემის დროა სრულად გამოვიყენოთ მათი
შემცველი ხელნაწერები.

დაწყებულია ამ გზით ძველი ქართული ადრინდელი მწერლობის იმ ძეგ-
ლების გამოსაცემად დამზადება, რომლებიც ორიგინალურ შემოკმედებას
წარმოადგენენ. ჟანრობლივ ისინი განეკუთვნებიან აგიოგრაფიას, რომელიც
სასულიერო მწერლობის „ბელ-ლეტრალ“ ითვლება. ქართული მწერლობის ამ

ქანრის ნაწერები V საუკუნიდან არის შემონახული. მათი უმრავლესობა ქართული მწერლობის ადრინდელ პერიოდს, V—XI სს-ს ეკუთვნის. ისტორიულ და ლიტერატურულ დიდ ღირებულებასთან ერთად ისინი უაღრესი მნიშვნელობისა არიან ენის ისტორიისათვისაც.

ქართული მწერლობისა და ენის ისტორიის, ისე როგორც ქართული ლექსიკოლოგიის ინტერესებით მორიგ ამოცანად დასახულია აღნიშნული პერიოდის კრებულების სახით ძველიდან მოღწეული ისეთი ძეგლების გამოსაცემად დამზადება, როგორცაა „მრავალთაეები“. რომლებშიც შემონახული არიან არა მარტო რჩეული ქართული ორიგინალური ნაწარმოებნი, არამედ უცხო ენებიდან ნათარგმნიც. უკანასკნელთა შორის ვხვდებით არა ერთ ისეთ ნაწარმოებს, რომლის დედანი, საიდანაც ისინი არიან ნათარგმნი, დაკარგულია. რადგან ასეთ ძეგლებს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებათ უცხო მწერლობის ისტორიისათვისაც, გულისყურს მომდევნო ხანის ქართული მწერლობის მსგავს ნაწარმოებებზედაც მივმართავთ.

ძველი ქართული მწერლობის გამოსაცემ ძეგლთა გეგმაში „მრავალთაეების“ შემდეგ ადგილი უჭირავს ისეთ მეტად საგულისხმო ძეგლებს, როგორცაა ძველი ქართული „პატერიკები“ ანუ „მამათა ცხოვრებანი“, რომლებიც ერთგვარ ნოველათა კრებულს წარმოადგენენ და ძირითადად X—XI სს-ს განეკუთვნებიან.

ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ გამოსაცემ ძეგლთა შერჩევისას მხედველობაშია მიღებული არა მარტო ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესები, არამედ ენობრივიც.

ძველი ხანის ძეგლების გვერდით მიზნად გვაქვს დასახული მოვამზადოთ განოსაცემად შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლებიც, თვით XVIII ს-ის ჩათვლით. ისინი შეიცავენ როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ნაწარმოებებს. რომელთა შერჩევა ნაკარნახევია ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესებით.

შემოვფარგლულიყავით ძველი მემკვიდრეობის პუბლიკაციის დროს მარტო ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის ნაწარმოებებით. არ იქნებოდა გამართლებული. მრავალფეროვანია ძველი ქართული მწერლობა. იგი მოიცავს არა ერთსა და ორ საინტერესო ძეგლს, რომელთა პუბლიკაცია ბევრნაირად არის საინტერესო, კერძოდ ქართველი და სხვა ხალხების კულტურულ ურთიერთობათა ისტორიის მხრით. კოორდინაციის წესით სხვა შესაფერის ინსტიტუტებთან ერთად საჭიროდ არის მიჩნეული ამ კავშირის ამსახველ უმნიშვნელოვანეს ძეგლთა გამოსაქვეყნებლად დამზადება, პირველ რიგში იურიდიული და სამედიცინო მწერლობის დარგიდან.

როგორც აღინიშნა, ინსტიტუტის ფონდები შეიცავს სხვა მასალასაც: ისტორიულ დოკუმენტებს XI—XVIII სს-ისას და გასულისა და მიმდინარე საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა არქივებს. ისტორიული დოკუმენტების დარგში, სათანადო გამოცდილების გამო ისტორიული დოკუმენტების გამოცემის საქმეში, უკვე მომზადებულია ნიადაგი, რომ სხვა შესაფერის დაწესებულებებთან ერთად დამზადდეს გამოსაცემად დოკუმენტების კორპუსი.

ინსტიტუტის შენობის საკითხის მოგვარებისთანავე გადაწყვეტილია, მოეწყოს სპეციალური ლაბორატორია პალიმფსესტების გასაშიფრავედ. ინსტიტუტს საკმაო ოდენობით მოეპოვება ძველი პალიმფსესტები, რომელთა შო-

რის თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ქართული მწერლობის V--VII სს-ის ძეგლები. ისიც კი, რაც მან შეუიარაღებელი თვალთ გამოიკვლია, მჭერმეტყველურად მოწმობდა ქართული მწერლობის მრავალფეროვნებას. ვინ იცის, რა სურათი გადაიშლება თვალწინ, როცა პალიმფსესტები სისრულით იქნება გამომჟღავნებული.

ასეთია უმთავრესი და ახლობელი ამოცანები, რომლებიც დგანან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის წინაშე გადასაწყვეტად, ნაწილობრივ დამოუკიდებლად და ნაწილობრივ კოორდინაციით სხვა ინსტიტუტებთან ერთად.